რელიგიის კანონის გაშუქება ქართულ მედიაში

კვლევის ავტორი: მერაბ ბასილაია

პერიოდი: 5 –18 ივლისი, 2011

5 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რაც რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის ახალ წესს ითვალისწინებს. სახლედობრ, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილბებით რელიგიურ ჯგუფებს, რომლებიც ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში აღიარებული არიან რელიგიურ ორგანიზაციებად ან მჭიდრო ისტორიული კავშირი აქვთ საქართველოსთან, საჯარო სამართლის უირიდიულ პირად რეგისტრაციის უფლება მიეცათ. წარმოდგენილ კანონპროექტს და მის მიღებას საჯარო სივრცეში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, და ეს თემატიკა, ბუნებრივია, ქართულმა მედიამაც აიტაცა.

წინამდებარე კვლევის მიზანია, გაარკვიოს, თუ რამდენად იცავდა მედია ამ თემატიკის გაშუქებისას საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს; უფრო კონკრეტულად კი შეისწავლოს, თუ რა ნორმებს არღვევდა მედია რელიგიური უმცირესობების თემატიკის გაშუქებისას.

დაკვირვება განხორციელდა უშუალოდ კანონის მიღებიდან 2 კვირის მანძილზე (5 –18 ივლისი) და მოიცვა შემდეგი მედია საშუალებები _ ტელეკომპანიები: საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი“, „კავკასია“, „მაესტრო“; გაზეთები: „რეზონანსი“, „ალია“, „ასავალ–დასავალი“, „ვერსია“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „კვირის ქრონიკა“; რადიოები: „უცნობი“, „პალიტრა“; სააგენტო: „საქინფორმი“; ჟურნალი „ლიბერალი“.

ვინაიდან კვლევის მიზანია დარღვევათა ტიპოლოგიის გამოვლენა, იგი თვისობრივი ხასიათისაა და ეფუძნება როგორც საერთაშორისო რეგულაციებს, ასევე ადგილობრივ პროფესიულ სტანდარტებს: კერძოდ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსს, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას და მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს.

რეგულაციები

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე–9 თავი (მრავალფეროვნება, შემწყნარებლობა და თანასწორობა) რეგულაციებს სამაუწყებლო მედიისთვის აწესებს. კოდექსის 31–ე მუხლის თანახმად, „მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.“

32–ე მუხლი მაუწყებელს ავალდებულებს, საეთერო ბადეში განათავსოს ზუსტი, სარწმუნო და დაბალანსებული ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ მრავალფეროვან ჯგუფებზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით. ამავე მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია, პატივი სცეს რწმენისა და აღმსარებლობის ფუნდამენტურ უფლებას და თავიდან აიცილოს ამ საფუძველზე სხვადასხვა ჯგუფის შეურაცხყოფა.

33-ე მუხლი კი მაუწყებელთათვის უმცირესობების გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებს განსაზღვრავს:

1. მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან.

2. მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი.

3. მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან

დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება.

4. თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე–7 მუხლი იმ მედია საშულებებზე ვრცელდება, რომლებიც ქარტიაში არიან გაწევრიანებული (მათ შორის, ბეჭდურ მედიაზე). აღნიშნული მუხლის თანახმად, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“

საერთაშორისო ორგანიზაცია „მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები გაცილებით დეტალურად აღწერს ამ სფეროში სახელმძღვანელო პრინციპებს და ჩვენი მონიტორინგის კრიტერიუმები ზემოთ აღწერილ სტანდარტებთან ერთად სწორედ ამ რეგულაციებს დაეფურდნობა. კერძოდ:

- უმცირესობების შესახებ მომზადებულ მასალებში მნიშვნელოვანია გადმოცემული იყოს თავად უმცირესობის წარმომადგენელთა აზრი ინტერვიუს სახით, რათა ისინი, ვის შესახებაც მზადდება მასალა, მოგვევლინონ ჟურნალისტური მასალის „სუბიექტებად“ და არა „ობიექტებად“. დაუშვებელია მთელი ჯგუფის კრიტიკა თავად ამ ჯგუფის წარმომადგენელთა პოზიციისა და ბრალდებებზე პასუხის გაცემის გარეშე;

- მედიამ თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან.

- დაუშვებელია ცალკეული ქმედების განვრცობა მთელ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფზე და მათი ერთ მონოლითურ ერთობად წარმოდგენა;

- მედიამ ხელი არ უნდა შეუწყოს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების კიდევ უფრო გაღრმავებას;

- მედიამ თავი უნდა აარიდოს რომელიმე ჯგუფის მიმართ ქსენოფობიურ, დისკრიმინაციულ გამონათქვამების ტირაჟირებას და თუ მსგავსს გამოხატვას რესპონდენტი ავრცელებს, აუცილებლად აღნიშნოს, რომ ასეთი გამონათქვამი შესაძლოა შეურაცხმყოფელი უყოს გარკვეული ჯგუფებისთვის.

- მედიამ საკითხი მრავალფეროვნების ჭრილში უნდა განიხილოს და არა ინდივიდუალური პერსპექტივიდან. იმ შემთხვევაში, თუ პირადი მრწამსი ჟურნალისტს ხელს უშლის მასალის მომზადებაში, სასურველია, სხვა ჟურნალისტმა გააშუქოს აღნიშნული თემა.

დარღვევების ტიპოლოგია

- ***უმცირესობები, როგორც ჟურნალისტური მასალის ობიექტი და არა სუბიექტი***

მონიტორინგის პროცესში მომზადებულ ჟურნალისტური მასალების უმრავლესობაში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები მასალის ობეიქტებად გვევლინებიან და არა სუბიექტებად, რადგან მათი მოსაზრებები პრაქტიკულად მედიაში ნიველირებულია. ამ მხრივ გამონაკლისი იყო: საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ–შოუ „აქცენტები“ (10 ივლისი, 2011), სადაც მოწვეულნი იყვნენ ევნგელისტურ - ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენელი რუსუდან გოცირიძე, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელი ჯუზეპე პაზოტო და საქართველოს მუსულმანური სამმართველოს ხელმძღვანელი ვაგიფ აკპეროვი. გადაცემის წამყვანის განცხადებით, მათ საპატრიარქოს წარმომადგენლებიც ყავდათ მიწვეულები, თუმცა ბოლო მომენტში მონაწილეობაზე მათ უარი განაცხადეს. იგივე რესპონდენტები სტუმრობდნენ „რუსთავი 2“–ის გადაცემა „შუა დღეს“ (11 ივლისი) რელიგიის შესახებ კანონზე მსჯელობის მიზნით. რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ–შოუ „ევროპულ არჩევანს“ (20 ივლისი), მართალია, აღნიშნულ გადაცემაში ევანგელისტურ–ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენელი რუსუდან გოცირიძე მიწვეული იყო, მაგრამ არა მთავარი სტუმრის სტატუსით, რაც გარკვეული დისკრიმინაციაა, რადგან გადაცემის ფორმატი ძირითად სტუმარს მეტ საშუალებას აძლევს (თუნდაც ტექნიკური თვალასაზრისით) გამოთქვას და დაასაბუთოს საკუთარი აზრი. კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ შეეხება რელიგიური

უმცირესობის რეგისტრაციის წესს და შესაბამისად, სწორედ კანონის მთავარი ბენეფიციარი უნდა ყოფილიყო ერთ–ერთი მთავარი სტუმარი, მით უფრო, რომ სახალხო დამცველის (ბექა მინდიაშვილი) და აკადემიური წრის (სერგო რატიანი) წარმომადგენლებთან ერთად, გადაცემის მთავარი სტუმრები საპატრიარქოს იურისტი (ზაქარია ქუცნაშვილი) და საპატრიარქოსთან არსებული ფონდის წარმომადგენელი (თეა გოგოტიშვილი) იყვნენ.

რაც შეეხება მონიტორინგის პროცესში განხილულ სხვა მასალებს, აღნიშნული სტანდარტი უმრავლესს შემთხვევაში სრულად არის ნიველირებული. კერძოდ:

6 ივლისის გადაცემაში „პირდაპირი საუბრები ეკა ბერიძესთან ერთად“ (მაესტრო) რელიგიის კანონზე სასაუბროდ რელიგიური გაერთიანებებიდან მხოლოდ საპატრიარქოს წარმომადგენელი, მეუფე ზენონი იყო მიწვეული. გადაცემის წამყვანს არ განუმარტავს მაყურებლებისათვის რაიმე მოზეზი იმისა, თუ რატომ არ იყო მოწვეული რომელიმე სხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი.

6 ივლისის გადაცემაში „დიალოგები თამარ ჩიქოვანთან ერთად“ (რადიო „უცნობი“) მართალია, ამ თემაზე მხოლოდ პოლიტიკოსები (თეა წულუკიანი, ხათუნა ოჩიარი) მსჯელობენ, მაგრამ ჟურნალისტის შეკითხვები მხოლოდ საპატრიარქოს პოზიციას ეყრდნობოდა და არსად არ ხდებოდა აპელირება თავად კანონის უშუალო ბენეფიციარების, რელიგიური უმცირესობების პოზიციაზე. მაგალითად:

თამარ ჩიქოვანი: „პატრიარქის თხოვნა იყო რომ გადადებულიყო თუნდაც რამოდენიმე დღით კანონის მიღება...

 იცით რა, საპატრიარქო ძალიან იშვიათად აკეთებს განცხადებებს, ჯერ იყო პატრიარქის განცხადება...

 საპატრიარქო ყველა შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებით აკისრებს პასუხიმგებლობას ხელისუფლებას...

როცა ეკლესიის პირველ პირს ყველა გამოკითხით აქვს ასეთი მაღალი ნდობის ხარისხი, რატომ არ გახდა მისი ღია მიმართვა საკმარისი ან ანგარიშგასაწევი...

ეს არის ეკლესიის თემა და საპატრიარქოს აქვს შიშები“...

რადიო „უცნობი“, „დიალოგები თამარ ჩიქოვანთან ერთად“, 6 ივლისი

ანალოგიური მიდგომა იკვეთება გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ (13 ივლისი) ინტერვიუში ფიქრია ჩიხრაძესთან „არაერთი სექტის დარეგისტრირებით, შესაძლოა,

საქართველოში სულით ვაჭრობა გაიმართოს''! ტელეკომპანია “კავკასიის“ გადაცემებში „სპექტრი“ (6 და 7 ივლისი), რომელსაც დავით აქუბარდია უძღვება.

რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა პოზიცია იგნორირებულია სოფო ბუკიას სტატიაში „მომგებიანი ზავი“ (ჟურნალი „ლიბერალი“, 18 ივლისი) და ის მხოლოდ საპატრიარქოს ინკოგნიტო წყაროს ეყრდნობა ("ლიბერალის" წყარო საპატრიარქოდან ამბობს...).

რელიგიური უმცირესობების შეხედულებები საკანონმდებლო ცვლილებებეთან დაკავშირებით არც გაზეთების “ასავალ-დასავალი” (“70 ბაიბურთი”, ჯაბა ხუბუა, 11-17 ივლისი), “ახალი თაობა” (“რითი უპასუხებს წმინდა სინოდი ნაციონალებს”, თეა მარხვაიძე, 11 ივლისი), “ალია” (“საპატრიაარქოსა და ხელისუფლების დაპირისპირების კულუარები”, გელა ზედელაშვილი, 7-11 ივლისი),A”კვირის პალიტრა” (“საკითხი უმნიშვნელოვანესია, მიდგომა _ არასერიოზული”, დავით შალიკაშვილი, 6 ივლისი), “რეზონანსი” (“საკუთარი ქვეყნის და რელიგიის მტრები”, ელისო ჩაფიძე და “პრეზიდენტის ვეტოს მოლოდინში”, რუსიკო მაჩაიძე, 7 ივლისი) მიერ გამოქვეყნებულ თვალსაზრისებში ასახულა და აპელირება აქაც მხოლოდ საპატრიარქოს პოზიციაზე ხდებოდა.

- *ჟურნალისტები, როგორც მხარე. მოწოდებები საპროტესტო აქციებისკენ*

აღნიშნულ თემაზე მომზადებული პუბლიკაციების ტენდენციურ ხასიათს ისიც განსაზღვრავს, რომ ჟურნალისტები საკუთარ თავს საპატრიარქოს და მათი ინტერპრეტაციით “ქართული ინტერესების” დამცველებთან აიგივებენ და ამდენად, ისინი ვერ იქნებიან ნეიტრალური არბიტრები, რომლებიც მიუკერძოებლად გადმოსცემენ განსხვავებულ მოსაზრებებს და საკითხს არა ინდივიდუალური პერსპექტივიდან, არამედ მრავალფეროვნების ჭრილში წარმოაჩენენ. ამ თვალსაზირისით მაუწყებელთა შემთხვევაში დარღვეულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 32–ე მუხლი, რომელიც მრავალფეროვნების საკითხების გაშუქებისას სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპს განსაზღვრავს.

მაგალითები:

“ამ ცალმხრივი აღიარებით ჩვენ ნაკლებად გვექნება საშუალება დავიცვათ ჩვენი უფლებები.”

მაესტრო, პირდაპირი საუბრები ეკა ბერიძესთან ერთად, 6 ივლისი

“მრცხვენია ვთქვა, რამდენი ადამიანი მივედით გასაპროტესტებლად (იგულისხმება საპროტესტო მიტინგი).

გაზეთი “ალია”, გელა ზედელაშვილი, 7–11 ივლისი

გარდა ამისა, გარკვეული ჟურნალისტები და მედია საშუალებები პირდაპირი მოწოდებებით გამოდიან, საზოგადოებამ საკანონმდებლო ცვლილებები გააპროტესტოს და დედა–ეკლესია დაიცვას, რაც ასევე ეწინააღმდეგება მოვლენების მიუკერძოებელი და ობიექტური გაშუქების პრინციპს:

„ახლა მხოლოდ განცხადებები კი არ უნდა კეთდებოდეს, მთელი საქართველო ქუჩაში უნდა იყოს გამოსული.“

გაზეთი “ალია”, გელა ზედელაშვილი, 7–11 ივლისი

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე კი საზოგადოების მობილიზებას მედია საშუალების _ „ასავალ–დასავალის“ ინტერნეტ გამოცემის მოწოდებაზე დაყრდნობით ცდილობს:

ნინო ბურჯანაძე: „საუბრის ბოლოს, “ასავალ-დასავალის” ექსპრეს-ინტერნეტ გამოცემას მსურს გამოვეხმაურო და თქვენი ინტერნეტ-გამოცემის მთავარ ფრაზას გავიმეორებ: დიახ, ქუდზე კაცია საჭირო! ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს პატრიარქისა და დედა-ეკლესიის ღირსების დასაცავად!“

გაზეთი “ასავალ-დასავალი”, ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან

- ***უმცირესობები, როგორც ერთიანი მონოლითური ჯგუფი, ასოცირებული მეზობელი სახელმწიფოს ინტერესებთან***

გარდა იმისა, რომ მედია თავად კანონის ბენეფიციარების, რელიგიური უმცირესობების მოსაზრებების უგულვებელყოფას ახდენს და თავად გვევლინება დაინტერესებულ მხარედ, სხვადასხვა კონფესიები მეტწილად წარმოდგენილნი არიან როგორც ერთიანი მონოლითური ჯგუფი და ეს ჯგუფი გაიგივებულია ძირითადად „სომხურ ინტერესთან“, რაც გარკვეულწილად სტერეოტიპული მიდგიომაა. განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე საქართველოს მოქალაქეების გაიგივება მეზობელი ქვეყნის ინტერესებთან თანაც საქართველოს ინტერესის საზიანოდ, აღნიშნული ჯგუფების დისკრიმინაციას წარმოადგენს. ამგვარი მიდგომა იკვეთება

როგორც რესპონდენტთა პასუხებში, ასევე თავად ჟურნალისტთა პოზიციაში შეკითხვების ფორმირების თუ თვალსაზრისის გამოხატვის კუთხით.

დისკრიმინაციულ მიდგომას გამოხატავს ელისო ჩაფიძის სარედაქციო სვეტის სათაური _ „საკუთარი ქვეყნისა და რელიგიის მტრები“ (7 ივლისი), სადაც პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივა ქვეყნის და ერთი დომინანტი კონფესიის მტრობადაა გამოცხადებული, რაც გარკვეულწილად სიძულვილის გაღვივებად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგალითები:

“გასაგებია სომხური ეკლესიის ინტერესი, მაგრამ რა ინტერესი უნდა ჰქონდეს საქართველოს სახელმწიფოს?”

მაესტრო, პირდაპირი საუბრები ეკა ბერიძესთან ერთად,

6 ივლისი.

„საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელმაც მართლმადიდებლობაზე მაღლა დააყენა გრიგორიანობა, ქართულ ეკლესიაზე მაღლა დააყენა სომხური ეჩმიაძინი და საქართველოს კატოლიკოს-პატრიარქზე მაღლა დააყენა სომხეთის პატრიარქი...

აი, ძვირფასო მეგობრებო, ის 70 ბაიბურთი, რომელმაც საქართველოსა და ქართული ეკლესიის დაქცევას მისცა ხმა!“

გაზეთი „ასავალ–დასავალი“, „70 ბაიბურთი“, ჯაბა ხუბუა, 11–17 ივლისი

„საზოგადოება და ქართული ეკლესია ამის გამო ძალიან გაღიზიანებულია. სამაგიეროდ, ეჩმიაძინში არიან გახარებული.“

გაზეთი „ახალი თაობა“, „რითი უპასუხებს წმინდა სინოდი ნაციონალებს“, თეა მარხვაიძე, 11 ივლისი

„რატომ დაუთმო სააკაშვილმა ამ გარეგინს? ჩავთვალოთ რომ რუსები დგანან სომხების უკან.“

„კავკასია“, გადაცემა „სპექტრი“, დავით აქუბარდია, 7 ივლისი

„ისიც გამოაშკარავდა, რომ ქართველები კიდევ ერთხელ წამოვეგეთ სომხების ანკესზე (ამ შემთხვევაში ჩვენს ხელისუფლებასაც განვიხილავ სომხურ მხარედ).“

გაზეთი „ალია“, საპატრიარქოსა და ხელისუფლების

დაპირისპირების კულუარები, გელა ზედელაშვილი, 7–11 ივლისი

„თუ ვინმეს აწყობს კავკასიაში ქართველებსა და სომხებს შორის დაძაბულბა, ეს აწყობს "მატუშკა რასიას".

ტელეკომპანია „კავკასია", „სპექტრი", დავით აქუბარდია, 6 ივლისი

„რატომ ღებულობს პარლამენტი სომხებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს, რას აღარ მოითმენს ქართველი ხალხი, რა გეგმით მოქმედებს ხელისუფლება?"

„ახალი თაობა", ეკლესიასთან თამაში ხელისუფლებას ცუდად შემოუბრუნდება,

თეა მარხვაიძე, 7 ივლისი

„ამ ბნელი და საქართველოს ინტერესების ფეხქვეშგამთელავი კანონის მიღების შემდეგ, საპატრიარქოში დიდი ამბავია ატეხილა...

ახლა ის ვიკითხოთ, გარეგინ მეორემ როდის მიაღწია თავისი ერის ისტორიულ მიზანს და საქართველოს პარლამენტის ძალით როდის მიენიჭა გრიგორიანულ ეკლესიას საქართველოში განსაკუთრებული სტატუსი?

გაზეთი „კვირის ქრონიკა", დიდი სკანდალი საქართველოს საპატრიარქოში,

დიტო ჩუბინიძე, 4–10 ივლისი

- ***საკანონმდებლო ცვლილებების გაიგივება საფრთხეებთან***

უცხო ქვეყნის ინტერესთან საკითხის გაიგივების გარდა, მედია საკანონმდებლო ხელისუფლების ამ ნაბიჯს გარე საფრთხეებთან და კონფესიურ ნიადაგზე შიდა დაპირისპირებასთან აიგივებს. უფრო მეტიც, ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე მორიგე რედაქტორის ჩანაწერში (საკუთარი ქვეყნისა და რელიგიის მტრები, 7 ივლისი) სამცხე–ჯავახეთის რეგიონს ავტონომიად მოიხსენიებს:

„თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით რომ უდავოდ ძალიან წამგებიან სიტუაციაში აღმოვჩნდით და საფრთხეები კიდევ წინ გველის, ეს ფაქტია...

...და თუკი, პირობითად, სააკაშვილი თავის პრეზიდენტურ ვეტოს ცხოვრებაში ერთელ მაინც გამოიყენებს მის მიერვე მარიონეტებივით მართული უმრავლესობის მიერ მიღებული კანონის შესაჩერებლად, ეს კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას და არ არის გამორიცხული, სამცხე–ჯავახეთის ავტონომიაში რუსეთის მიერ ჩადებული კიდევ ერთი ნაღმი აფეთქდეს."

გაზეთი „რეზონანსი“ საკუთარი ქვეყნისა და რელიგიის მტრები, 7 ივლისი

„თუ ვინმეს აწყობს კავკასიაში ქართველებსა და სომხებს შორის დაძაბულბა, ეს აწყობს “მატუშკა რასიას”.

ტელეკომპანია „კავკასია“, „სპექტრი“, დავით აქუბარდია, 6 ივლისი

„საპატრიარქო ყველა შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებით აკისრებს პასუხიმგებლობას ხელისფუფლებას. თქვენ რომ იძახით არ არსებობს საფრთხეო, თუ არ არასებობს, მაშინ როგორ იღებს პასუხისმგებლობას ხელისუფლება? ვთქვათ, დღეს გამოვიდა ძალიან ბევრი ხალხი და მოხდა რაღაც ძალიან ცუდი, დაიწყო დიდი არეულობა რელიგიური ნიშნით, რაც აქამდე არ მომხდარა, თქვენი პასუხიმგებლობა ხათუნა რაში იქნება გამოხატული? (მიმართავს პარლამენტარ ხათუნა ოჩიაურს)“

რადიო „უცნობი“,„დიალოგები თამარ ჩიქოვანთან”, 6 ივლისი

გაზეთ “ალიას” ჟურნალისტი ნინო სამხარაძე კანონის მიღებას სამცხე-ჯავახეთი დაკარგვის საფრთხეს უკავშირებს:

“შესაძლოა თუ არა, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის დაკარგვის ძალიან რეალური საფრთხე გაჩნდეს?

გაზეთი “ალია”, ნინო სამხარაძე, 7-11 ივლისი

სააგენტო “საქინფორმის” ჟურნალისტი ბაია ამაშუკელი (6 ივლისი) უფრო შორს მიდის და არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლის წარმომადგენელთან მანანა კობახიძესთან ინტერვიუს დროს, ამერიკული დემოკრატიიდან მომდინარე საფრთხეზე საუბრობს:

ბაია ამაშუკელი: “თავისუფლების სიმბოლოდ აღიარებულმა ამერიკულმა დემოკრატიამ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან დეკლარირებული „ლიბერალური თავისუფლებით“ საქართველოში უმთავრესად მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლების დევნა-დაპატიმრება გამოიწვია.

გამოდის, არაქრისტიანული უზნეობის მქადაგებელი ერთი მცირე აგრესიული ჯგუფი დანარჩენი ქართველი საზოგადოების ცნობიერებასა და იდეოლოგიაზე ძალადობს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი, შესაძლოა, დაგიჭირონ კიდეც...”

სააგენტო „საქინფორმი“, 6 ივლისი

კანონის მიღებას ამერიკულ საფრთხეს უკავშირებს გაზეთ “ალიას” ჟურნალისტი ნინო სამხარაძე, რომლის აზრითაც, ეს ნაბიჯი იყო პრევენცია, რათა სააკაშვილის რეჟიმი შენარჩუნდეს:

“დიდი ხანია, ამერიკელებს აწუხებთ ის საკითხი, რომ საქართველოში ყველაზე დიდი რეიტინგით სწორედ რომ პატრიარქი და ეკლესია სარგებლობს. ჩემი ინფორმაციით, არაერთხელ გამართულა მსჯელობა, რა მეთოდები უნდა აემუშავებინათ იმისათვის, რომ ეს ძლიერი ინსტიტუტი დაენგრიათ და მრავალაათასიანი მრევლი გაეთიშათ... რადგან პატრიარქის ერთი სიტყვა საკმარისია იმისათვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი დაემხოს. იქნებ ერთ-ერთი პრევენციაც სწორედ ეს იყო, ამ რელიგიური კონფესიების იურიდიულად გათანაბრებისა?“

გაზეთი “ალია”, ნინო სამხარაძე, 7-11 ივლისი

ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა კი კანონს ქართული ეკლისიისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად აფასებს:

„დიახ, იმ 70 პარლმენტარს ვგულისხმობ, რომლებმაც ყურად არ იღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდება და დაჩქარებული წესით მიიღეს კანონი, რომელიც ქართული ეკლესიის დაშლისა და საქართველოში მართლმადიდებლობის დაკნინებისკენ არის მიმართული.“

გაზეთი “ასავალ-დასავალი”, “70 ბაიბურთი”, ჯაბა ხუბუა,

11-17 ივლისი

- ***დისკრიმინაციული, ქსენოფობიური გამოხატვები, სიძულვილის გაღვივება, სტერეოტიპები***

როდესაც საუბარი დისკრიმინაციულ, ქსენოფობიურ გამოხატვებს და სიძულვილის გაღვივებას ეხება, აქ უნდა გავმიჯნოთ რესპონდენტების მიერ გაკეთებული განცხადებები, რაც წინამდებარე კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, და თავად მედიის მიერ გაკეთებული მსგავსი გამოხატვები.

გაზეთ “ვერსიის” ჟურნალისტის ნინო კომახიძის შეკითხვა რესპონდეტის მიმართ (ფიქრია ჩიხრაძე) სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს ერთიან სტანდარტს უყენებს და მათ ექსტრემისტებთან და სატანისტებთან აიგივებს:

“ ანუ, ევროსაბჭოში შემავალ რომელიმე ქვეყანაში, ნებისმიერმა ჯგუფმა, ექსტრემისტმა, თუ სატანისტმა დარეგისტრირება თუ მოახერხა, ჩვენთან სტატუსსაც ავტომატურად მიიღებს და ამას არავინ გააკონტროლებს? იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, სტატუსიანი რელიგიების რა რაოდენობაზეც ავდივართ.”

გაზეთი “ვერსია”, „არაერთი სექტის დარეგისტრირებით, შესაძლოა,

საქართველოში სულით ვაჭრობა გაიმართოს''! 13 ივლისი

შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს მედია მიმართავს როგორც კანონპროექტის ინიციატორებისა და ხელისუფლების მიმართ, ასევე უმცირესობების მისამართითაც.

კანონპროექტის ავტორებს და ზოგადად ხელისუფლებას საქინფორმის ჟურნალისტი ბაია ამაშუკელი „არაქრისტიანული უზნეობის მქადაგებელ ერთ მცირ აგრესიულ ჯგუფად“ მოიხსენიებს, გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტი“ გელა ზედელაშვილი _ „70 მოღალატედ“, ხოლო ასავალ–დასავალის კორესპონდენტი ჯაბა ხუბუა _ „70 ბაიბურთად“, სომხურ მეხუთე კოლონად, ხოლო პრეზიდენტის მრჩეველ, ეთნიკურ სომეხს ვან ბაიბურთს _ საქართველოში „სომხური დაშნაკური პოლიტიკის ემისარად“ სააგენტოსთვის მიცემული იმ ინტერვიუს გამო, სადაც ბატონი ბაიბურთი კანონთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს არაკომპეტენტურ ოპოზიციას აბრალებს:

“ე.ი. დაშნაკი ბაიბურთის აზრით, საქართველოს საპატრიარქო და კათოლიკოს-პატრიარქი “არაკომპეტენტური ოპოზიციაა”...

-სანამ რამეს იტყოდეთ, ცოტა ჭკუას წიხლი დააჭირეთ, თორემ ქართველი ხალხის რისხვისაგან თქვენი პატრიარქისა და სულიერი ლიდერის გარეგინ მეორის ლოცვა-კურთხევა ვერ გადაგარჩენთ!”

გაზეთი “ასავალ-დასავალი”, “70 ბაიბურთი”, ჯაბა ხუბუა,

11-17 ივლისი

გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე პარლამენტს „უბორნიას“ იმის გამო უწოდებს, რომ მიღებული კანონის ძალით, „ქვეყანაში მართლმადიდებლურ ქრისტიანობას თავისი სტატუსით გაუთანაბრდა სომხურ-გრიგორიანული, ბაპტისტური, კათოლიკური და მუსლიმანური ეკლესიები...“ გარდა იმისა, რომ ფაქტობრივ უზუსტობასთან გვაქვს საქმე, რადგან აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით რეალურად მართლმადიდებლური ეკლესიის იმ

სტატუსის გადახედვა არ მომხდარა, რომელიც საკონსტიტუციო შეთანხმებით არის გარანტირებული, ამასთანავე იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომა საქართველოში მოქმედი კონფესიების მიმართ, თითქოს მათი დომინანტ კონფესიასთან გათანაბრება საქართველოს ინტერესების ფეხქვეშ გათელვას წარმოადგენდეს:

“ამ ბნელი და საქართველოს ინტერესების ფეხქვეშგამთელავი კანონის მიღების შემდეგ, საპატრიარქოში დიდი ამბავი ატეხილა.”

გაზეთი “კვირის ქრონიკა”, დიდი სკანდალი საქართველოს

საპატრიარქოში, დიტო ჩუბინიძე, 4-10 ივლისი

“ალიას” ჟურნალისტი ნინო სამხარაძე ინტერესდება რამდენად შეიძლება მართლმადიდებლურ ქვეყანაში სხვა სარწმუნოებები უფლებრივად თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული, რითაც გამოხატავს თავის დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას არადომინანტი კონფესიების მიმართ, რომელთაც უფლებრივი თანასწორობის პრეტენზია არ შეიძლება გააჩნდეთ:

“მაინტერესებს, არსებობს თუ არა მსგავსი პრეცედენტი რომელიმე მართლმადიდებლურ ქვეყანაში, სადაც ყველა სარწმუნოება თანაბარია თავისი უფლებებით?”

გაზეთი “ალია”, ნინო სამხარაძე, 7-11 ივლისი

გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტი გელა ზედელაშვილის განცხადება, რომ „როდესაც თბილისს გარეგინ მეორე ეწვია, ბევრმა იკბინა თითზე, ეს ისე არ ჩამოვიდოდა, რაღაცას წაგვღლეტსო,“ შესაძლოა ჩაითვალოს სტერეოტიპად, რომლის თანახმად, სომხები აუცილებლად რამეს წაგღვლიტავენ. მისივე სტატიის ის პასაჟი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ უსუსურ ქართველებს ნებისმიერმა უტვინომ შეიძლება თავს მოგვახვიოს, რაც მოესურვება, წარმოადგენს სიძულვილის გაღვივების მცდელობას:

„ისე, ალღოიანი ხალხი ვართ ქართველები, როდესაც თბილისს გარეგინ მეორე ეწვია, ბევრმა იკბინა თითზე, ეს ისე არ ჩამოვიდოდა, რაღაცას წაგვღლეტსო. ასევე ცუდად გვენიშნა გიგი უგულავას სიტყვები, როცა სომხური ცენტრის გახსნისას ამოღერღა: თბილისი სომხების აშენებულიაო. კი, ნამდვილად ალღოიანი ხალხი ვართ ქართველები, მაგრამ ამავე დროს უსუსურები და არაფრის მაქნისები, ნებისმიერ უტვინოს შეუძლია, თავზე ის მოგვახვიოს, რაც მოესურვება.“

გაზეთი „ალია“, საპატრიარქოსა და ხელისუფლების

დაპირისპირების კულუარები, გელა ზედელაშვილი, 7–11 ივლისი

სიძულვილის გაღვივებად შეიძლება შეფასდეს გაზეთ “ალიაში” (7-11 ივლისი) ელიზბარ ჯაველიძის ინტერვიუს სათაურად გამოტანილი სიტყვები: “სულ ცოტა ხანში დაიწყება ქართველთა და სომეხთა შორის სისხლისღვრა, ხელჩართული ბრძოლა და დასწრება, თუ ვინ ვის გაანადგურებს ფიზიკურად”. მართალია, ეს სიტყვები რესპონდენტს ეკუთვნის, მაგრამ სათაურში მათი გამოტანა სარედაქციო პოზიციას გამოხატავს. გარდა ამისა, ჟურნალისტმა ნინო სამხარაძემ დაარღვია სტანდარტი, როდესაც არ მიუთითა, თუ როგორ შეიძლება აღიქვან უმცირესობის წარმომადგენლებმა მსგავსი განცხადება.

ზოგადად არმენოფობიური განწყობები განსაკუთრებით მოზღვავებულადაა წარმოდგენილი ბეჭდურ მედიაში. “კვირის ქრონიკის”ჟურანლისტის დიტო ჩუბინიძის მცდელობა, ადამიანები გვარების წარმომავლობის ნიშნით დაყოს, იმ მოქალაქეების მიმართაა დისკრიმინაცია, ვისაც საკუთარი გვარის არჩევის უფლება ისევე აქვთ, როგორც თვითიდენტიფიცირების. იგივე პასაჟი სტერეოტიპსაც (სომხებისთვის ფულის კეთების დროა) შეიცავს და სომხებსა და ქართველებს შორის სიძულვილის გაღვივების მცდელობაცაა.

“ერთი სიტყვით, ძვირფასო ქართველებო, ახლა რა დროა იცით?..

ე.ი. გვარგადაკეთებული სომხებისთვის “კარგი დრო” და ფულის კეთების საათი... ახლა ის ვიკითხოთ,-გარეგინ მეორემ როდის მიაღწია თავისი ერის ისტორიულ მიზანს და საქართველოს პარლამენტის ძალით როდის მიენიჭა გრიგორიანულ ეკლესიას საქართველოში განსაკუთრებული სტატუსი? მაშინ, როცა იმავე გვარგადაკეთებულ სომხებს, როგორც პარლამენტში, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, “პარადი” მიჰყავთ!

გაზეთი “კვირის ქრონიკა”, დიდი სკანდალი საქართველოს

საპატრიარქოში, დიტო ჩუბინიძე, 4-10 ივლისი

მედიის მხრიდან პრეზიდენტის სომხურ წარმომავლობაზე საუბარიც რელიგიის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების დისკურსის ნაწილია და ნეგატიურ კონოტაციას შეიცავს:

“შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი მისი წარმომავლობის გამო მხარს უჭერს სომხებს, თუკი ის ნამდვილად სომეხია?”

გაზეთი “ალია”, ნინო სამხარაძე, 7-11 ივლისი

გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი დავით შალიკაშვილის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უხერხულია საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებლური ეკლესიის დამსახურებებთან სხვა კონფესიების წვლილის შედარება და რომ ქართველი ერის ხმის გამხმოვანებელი მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიაა, რითაც დისკრიმინაციულ მიდგომას გამოხატავს განსხვავებული რელიგიური მრწამსის საქართველოს სხვა მოქალაქეების მიმართ:

„ვფიქრობთ, ზედმეტი ახსნა და მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რა მნიშვნელობა და ფუნქცია ჰქონდა ქართული კულტურის, მსოფლმხედველობის, თუნდაც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში მართლმადიდებლურ ეკლესიას. ამ მხრივ, რომელიმე სხვა რელიგიური გაერთიანების ღვაწლსა და მნიშვნელობაზე ლაპარაკი უხერხული იქნებოდა. არც ქართველ ერს აქვს მცხეთის, თბილისისა და ბიჭვინთის გარდა სამშობლო სხვაგან.

სამწუხაროდ, ქართველი ერის ხმამ, რომლის ნების უპირველესი გამხმოვანებელი ქართული ეკლესიაა, საქართველოს პარლამენტამდე ვერ მიაღწია.“

გაზეთი „კვირის პალიტრა“, დავით შალიკაშვილი, 7 ივლისი

გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი რუსიკო მაჩაიძე კი პრობლემას იმაში ხედავს, რომ რეგისტრაციის შესაძლებლობა სომხურ ეკლესიას ქონების მოთხოვნის უფლებას აძლევს. გარდა იმისა, რომ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხი არ არეგულირებს საკულტო ნაგებობების საკუთრების საკითხს, სახეზეა დისკრიმინაციული მიდგომა, რომლის თანახმადაც, განსხვავებული მრწამსის საქართველოს მოქალაქეებს არ შეიძლება ჰქონდეთ საკუთრების პრეტენზია, რადგან ეს საკითხი კანონიდან გამომდინარე პრობლემად არის დანახული:

„რაც შეეხება სომხური მხარის მიერ საქართველოში ეკლესიების გადაცემის საკითხის დასმას, წიკლაური ამბობს, რომ ქართული და სომხური ხუროთმოძღვრება ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, რომ მეცნიერებისთვის მათი ერთმანეთისგან გარჩევა მარტივია. მისი თქმით, თუ რომელიმე ტაძარი მართლაც სომხურია, გაუგებარია, რატომ უნდა იყოს პრობლემა, რომ ხალხმა იქ ილოცოს.

ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ პრობლემა ის კი არ არის, რომ ხალხმა სადც უნდა იქ ილოცოს, არამედ ის, თუ ამ გადაწყვეტილებას რეალურად რა მოჰყვება.....

ერთ-ერთი შესაძლო შედეგი კი, იურისტების განმარტებით, არის სწორედ ამ ეკლესიებისთვის ქონების გადაცემის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომხური ეკლესია ხელისუფლებისგან ქონების გადაცემას უკვე ითხოვს.“

გაზეთი „რეზონანსი“, „პრეზიდენტის ვეტოს მოლოდინში“, რუსიკო მაჩაიძე

7 ივლისი

სტერეოტიპული მიდგომა იკვეთება ელისო ჩაფიძის სარედაციო ჩანაწერშიც, სადაც ჟურნალისტი ამკვიდრებს აზრს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა იყოს და საეკლესიო ცხოვრების წესით ცხოვრობდეს და პეტრე–პავლეს მარხვის დროს პატრიარქის მოთხოვნას კანონის მიღება–არმიღების შესახებ არ უნდა უგულვებელყოფდეს:

„საქმე ის გახლავთ, რომ 70 უპასუხისმგებლო და ყველაფერზე მიშასთვის კვერის დამკვრელი პარლამენტარის წყალობით დღეს ჩვენ გვაქვს სასწრაფო წესით მიღებული კანონი, რომლის განხილვის გადადებას და გააზრებულ მიღებას თავად პატრიარქი ითხოვდა, ისიც პეტრე – პავლეს მარხვაში, რომელიც სააკაშვილისთვის ძირითადად ლუდის ფესტივალების, სტინგისა და ჩახუტების დროა.“

გაზეთი „რეზონანსი“ საკუთარი ქვეყნისა და რელიგიის მტრები, 7 ივლისი

- ***დაუსაბუთებელი პარალელები რელიგიურ და ეთნიკურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის***

სააგენტო “საქინფორმის” ჟურნალისტი ბაია ამაშუკელი ილიას უნივერსიტეტთან და ტელეკომპანია “კავკასიაში” მომხდარი ინციდენტების დროს რადიკალური ჯგუფების წარმომადგენეთა დაკავებას მართლმადიდებლობასთან ბრძოლად და კონფესიური ნიშნით განხორციელებულ დაპატიმრებებად აფასებს და აღნიშნულ კრიმინალურ საქმეებს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესთან აკავშირებს:

“საქართველოში არ არსებობს არცერთი სხვა კონფესიის წევრი, მართლმადიდებლის გარდა, რომელსაც რელიგიური მრწამსის გამო ბორკილები დაადეს...

გამოდის, არაქრისტიანული უზნეობის მქადაგებელი ერთი მცირე აგრესიული ჯგუფი დანარჩენი ქართველი საზოგადოების ცნობიერებასა და იდეოლოგიაზე ძალადობს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი, შესაძლოა, დაგიჭირონ კიდეც...”

სააგენტო “საქინფორმი”, 6 ივლისი

ჟურნალისტი თეა მარხვაიძე კანონის ნეგატიურად შეფასებასთან ერთად, დაუსაბუთებელ პარალელს ავლებს გეების ევროპულ კონკურსთან, რაც საზოგადოებაში ზოგადად უმცირესობების მიმართ არსებული სტერეოტიპების გაღრმავებას უწყობს ხელს. ჟურნალისტი “ავადსახსენებელი კანონის” მიღებას ასევე გაურკვეველი სომხური გამოცემის ცნობას უკავშირებს, ალავერდის მონასტრის სომხურ ძეგლად მოხსენიების თაობაზე:A

“ეკლესიასთან მოსატანი არ არის, მაგრამ ერთი ისტორია უნდა გავიხსენოთ. ცოტა ხნის წინ გეების ევროპული კონკურს გაიმართა. იქ ერთ-ერთ ნომინაციაში ქართული წარმოშობის ბიჭმა გაიმარჯვა, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და რუსეთის სახელით გამოვიდა. რუსებმა პატივი დაგვდეს და ის რუსად გამოაცხადეს. ამის გამო თბილისში ამბავი ატყდა. ჩვენმა პარლამენტმა კინაღამ საპროტესტო განცხადება გააკეთა.

სამაგიეროდ კაციშვილს არ გაუპროტესტებია ერთ-ერთი სომხური გამოცემის ცნობა. ამ გამოცემამ ჩვენი ლამაზი და დიდებული ალავერდის მონასტერყ სომხურ ღირსშესანიშნაობად მოიხსენია.”

გაზეთი “ახალი თაობა”, რითი უპასუხებს წმინდა სინოდი ნაციონალებს , 11 ივლისი

სომხურ წყაროებში ქართული ანბანის შემქმნელად მეშტოც მაშტოსიანის მოხსენიებას სიუჟეტს უძღვნის ტელეკომპანია “მაესტრო” (ვინ შექმნა ქართული დამწერლობა ქართველმა მეფემ თუ სომეხმა მოღვაწემ? 6 ივლისი) სწორედ რელიგიის შესახებ კანონის მიღების კონტექსტში.

ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე კი რელიგიური ორგანიზაციების დარეგისტრირების შესაძლებლობას საქართველოს ტერიტორიების დაკარგვას, სოციალურ სიდუხჭირეს და ნაგვისა და დენის გადასახადს უკავშირებს:

„უკვე ორი წელი გავიდა აგვისტოს ომის შემდეგ, რაც საქართველოს სისხლით გაპოხილი მიწის კიდევ ბევრი ნაგკლეჯი უსახსოვრა სააკაშვილმა რუსეთს... თუმცა ჰოლივუდს ხომ სჭირდება რაიმე ახალი მძაფრსიუჯეტიანი სცენარი კობა ნაყოფიასგან? მოკლედ საფრთხე უამრავია, სარგებელი კი ჯერჯერობით მხოლოდ ის,

რომ პალიკოებად ქცეული ნაციონალები მშვიდად გაატარებენ ზაფხულის არდადეგებს ფეშენებელურ აგარაკებსა და კურორტებზე, მოსახლეობის იმ 30% –ის ჯიბრზე, სირარიბის ზრვარს მიღმა ძლივსღა რომ სუნთქავს და ახლა ნაგვისა და დენის გაერთიანებული გადასახადები თუ თანამედროვე თათარ–მონღოლების მიერ დადგენილი ხარკი რომ უნდა იხადონ გიგი უგულავას წინაასაარჩევნო კამპანიისთვის ჩამოკიდებულ ყულაბაში. და ძალაუნებურად ფიქრობ: სადამდე... სადამდე, შვილო ზურაბ, და სადამდე გაუვათ თავგასულობა ნაციონალებს?“

გაზეთი „რეზონანსი“ საკუთარი ქვეყნისა და რელიგიის მტრები, 7 ივლისი

ლიბერალის ჟურნალისტი სოფო ბუკია და გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტი თეა მარხვაიძე კანონის მიღებას 26 მაისის აღლუმზე პატრიარქის არდასწრებას უკავშირებენ და საპატრიარქოსთან შეუთანხმებელ ამ ქმედებას ხელისუფლების მხრიდან შურისძიებით ხსნიან:

„პირველი შემთხვევა, როცა პატრიარქმა ღიად აჩვენა, რომ უკმაყოფილოა ხელისუფლების პოლიტიკით, 2011 წლის 26 მაისი იყო. ამ დღეს, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველად, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე პრეზიდენტის გვერდით არ იდგა საქართველოს პატრიარქი...

როგორც ჩანს, პატრიარქისთვის განკუთვნილი ცარიელი ადგილი თვალში მოხვდათ ქვეყნის მმართველებსაც. როდესაც ხელისუფლება რელიგიურ თემაზე ახალ კანონს საპატრიარქოსთან კონსულტაციის გარეშე იღებდა, შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, რომ ეს სერიოზულ კონფრონტაციას წარმოშობდა...

ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირებას საერთო არაფერი ჰქონდა რელიგიურ საკითხებთან და ის მხოლოდ გავლენისთვის ბრძოლა აღმოჩნდა.“

ჟურნალი „ლიბერალი“, „მომგებიანი ზავი“, 18 ივლისი

„26 მაისს უწმინდესი აღლუმს არ დაესწრო. არ დაესწრო იმიტომ, რომ იქ სადაც ნაციონალებს უნდა ეძიგძიგათ, რამდენიმე საათით ადრე ქართველთა სისხლი დაიღვარა.

თუმცა, როგორც ამბობენ, იმ კანონის მიღების მიზეზი მხოლოდ 26 მაისი არ ყოფილა. მთავარი მიზეზი გარეგინ II უნდა იყოს...“

გაზეთი „ახალი თაობა“, „რითი უპასუხებს წმინდა სინოდი ნაციონალებს“, 11 ივლისი

რადიო „პალიტრის“ ჟურნალისტი ნინო წილოსანი ხელისუფლების ქმედებას „მართლმადიდებლური ეკლესიის გაუფასურების მცდელობად“ აფასებს და საკანონმდებლო ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტოს დადების მოლოდინში სვამს შეკითხვას:

„დატოვებს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი მართლმადიდებლურ ეკლესიას გაუფასურებულ როლში, 10 დღეში გაირკვევა. ამ პერიოდში პარლამენტი პრეზიდენტს თავის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს გაუგზავნის და მისგან პასუხს დაელოდება. პასუხი კი, ან ხელმოწერა ან ვეტო იქნება.“

რადიო „პალიტრა“, ნინო წილოსანი, 7 ივლისი

მთავარი მიგნებები

მონიტორინგის მიმდინარეობისას, პარლამენტის მიერ რელიგიის კანონის მიღებასთან დაკავშირებით ქართულ მედია სივრცეში კომპლექსური პრობლემები და დარღვევების შემდეგი ტიპოლოგია გამოიკვეთა:

- აღნიშნულ მასალებში უმცირესობები განიხილულნი არიან, როგორც ჟურნალისტური მასალის ობიექტები და არა სუბიექტები. მცირედი გამონაკლისების გარდა, სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტში, ასევე ბეჭდურ და ონლაინ პუბლიკაციაში ჟურნალისტებს არ აქვთ მითითებული თავად რელიგიურ კონფესიათა წარმომადგენლების აზრი და აპელირება მხოლოდ საპატრიაქროს პოზიციაზე დაყრდნობით ხდება;

- დარღვეულია სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპი, რადგან ჟურნალისტები საკითხს არა მრავალფეროვნების, არამედ ინდივიდუალური პერსპექტივიდან აფასებენ. ჟურნალისტები, რომლებიც თავის თავს კონკრეტული ინტერესის დამცველებთან აიგივებენ და საზოგადოებას პროტესტისკენ მოუწოდებენ, ვერ იქნებიან ნეიტრალურები, რადგან ისინი ასეთ შემთხვევაში მხარედ გვევლინებიან.

- სტანდარტის დარღვევაა ასევე რელიგიური უმცირესობების, როგორც ერთიანი მონოლოთური ჯგუფის განხილვა, მათი წარმომადგენლების ინტერვიუს მითითების გარეშე. ერთადერთი წყარო, რომელსაც ჟურნალისტები ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართავენ, არის საპატრიარქო, რაც წყაროების დაბალანსების პრინციპს არღვევს.

- კანონს, რომელიც მიღებულია საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებისთვის, მედია განიხილავს, როგორც სხვა ქვეყნის, ძირითადად სომხეთისთვის გამიზნულ ნაბიჯად და საუბრობს სომხურ ინტერესზე საქართველოს ინტერესის საზიანოდ (მაგალითად, "გასაგებია სომხური ეკლესიის ინტერესი, მაგრამ რა ინტერესი უნდა ჰქონდეს საქართველოს სახელმწიფოს?"). ამით მედია ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გამძაფრებას და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს, მათი განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის გამო მეზობელი ქვეყანის და არა საკუთარის სახელმწიფოებრიობასთან აიგივებს.

- ამასთანავე უმცირესობები წარმოდგენილი არიან როგორც მეორეხარისხოვანი მოქალაქეები, რომელთაც არ შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია თანასწორუფლებიანობაზე, ასევე საკუთრების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის საკულტო ნაგებობა მათ კონფესიას.

- მედია დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს კანონის მიღებასა და ის თემებს შორის, რასაც არავითარი კავშირი აქვს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესთან, იქნება ეს სოციალური სიდუხჭირე, თუ ტერიტორიების დაკარგვა, სეპარატიზმის საფრთხე. უმცირესობებისათვის უფლებების მინიჭების გარე და შიდა საფრთხეებთან გაიგივებით მედია სიძულვილის გაღვივებას უწყობს ხელს.

- რაც შეეხება დისკრიმინაციულ, არმენოფობიულ და სიძულვილის გამღვივებელ გამოხატვებს, გარკვეულ შემთხვევებში მათ ავტორებად თავად ჟურნალისტები გვევლინებიან, ზოგ შემთხვევაში კი მედია რესპონდენტების პოზიციის ტირაჟირებას ისე ახდენს, რომ რესპონდენტებს არ მიუთითებს, თუ როგორ შეიძლება აღიქვან მსგავსი შეფასებები თავად უმცირესობებმა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ არმენოფობიის მეტი წილი ბეჭდურ მედიაზე მოდის და სტერეოტიპების უმეტესობაც სწორედ სომხებს უკავშირდება.

- იკვეთება ასევე საკითხში გაუთვითცნობიერებლობის პრობლემა. მედია არ ფლობს ინფორმაციას არც რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესის, ანალოგიური საერთაშორისო პრაქტიკის და ზოგადად სეკულარულ სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ. ამის მიზეზი პროფესიონალიზმის დეფიციტთან ერთად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მედია მრავალფეროვნების საკითხებით ნაკლებად ინტერესდება და ამ თემატიკას მხოლოდ მაშინ აშუქებს, როდესაც ის პოლიტიკური დისკურსის ნაწილი ხდება. ამ უკანასკნელ

შემთხვევაში კი ის იმეორებს იმ განწყობებს, რასაც საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ჯგუფები ახმოვანებენ.